603 ЛЧ4.088

№ 7
(11 259)

29 იანვარი – 1 თებერვალი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ახალი ამბები სფფ-დან

## ერთ კვირაში აღმასკომი შეიკრიბება

დადგინდა, რომ სფფ-ს აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება 5 თებერვალს, 15 საათზე, „შერატონ-მეტეხი-პალასში“. განიხილავენ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

— სფფ-ს ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

— X ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სათამაშო კალენდრის დამტკიცება;

— სფფ-ს კომიტეტების თავმჯდომარეების დამტკიცება;

— საქართველოს, ეროვნული, ახალგაზრდული, ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის.

აღმასკომის სხდომის დასრულებისთანავე იქვე გაიმართება პრესკონფერენცია, ხოლო შემდეგ ყველანი სპორტის სასახლისაკენ გასწევენ, მიხეილ მესხის ტურნირის ფინალურ მატჩზე დასასწრებად.

## რა საკითხებზე ისაუბრეს ბლატერთან შეხვედრისას?

„ლელო“ წინა ნომერში იტყობინებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ფეხბურთის ფედერაციათა მესვეურების შეხვედრის თაობაზე, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სფფ-ის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია წარმოადგენდა. როგორც შინ დაბრუნების შემდეგ ვალერი ჩოლარიამ გვითხრა შეხვედრაზე განხილულა:

1. ფეხბურთის ტექნიკური განვითარების პროექტი, სადაც მაქსიმალურად აისახება რეგიონალური ფედერაციების პრობლემები;

2. პროექტი 2008 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ მოწყობის შესახებ;

3. საკლუბო ფეხბურთის საკითხები;

4. საკლუბო გუნდებისა და ეროვნული ნაკრებების მატჩების მსაჯობის პრობლემების შესახებ;

5. ფიფას აპარატის რეორგანიზაციის შესახებ;

6. რეგიონალური ფედერაციის ფინანსური დახმარების შესახებ.

აგრეთვე განიხილეს დამატებითი საკითხები: 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კვოტების არგაზრდის შემთხვევაში აზიის კონფედერაციის მოსალოდნელი ბოიკოტის შესახებ; რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვ. კოლოსკოვის ფიფას პრეზიდენტის თანაშემწედ (მრჩევლად) დამტკიცების შესახებ დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

## სომხები გვეპატიჟებიან

სფფ-ს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციიდან (ჯერჯერობით არაოფიციალურად) შეატყობინეს, რომ, მაისის ბოლოს — ივნისის დასაწყისში ერევანში ნავარაუდევია გაიმართოს საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი „ხაზაროვის თასზე“. შეჯიბრის დევიზია: „მსოფლიოს სპორტსმენები სუფთა ქალაქებისათვის“. გეგმავენ, რომ წლეულს ტურნირში სომხეთის ორი უძლიერესი კლუბი ითამაშებს. მასპინძლებმა საასპარეზოდ საქართველოს საკლუბო გუნდიც დაპატიჟეს.

აღსანიშნავია, რომ თუ ეს ტურნირი ოფიციალურად მოიკიდებს ფეხს, მისი საპრიზო ფონდი 100 ათასი გერმანული მარკა იქნება და ყოველწლიურად ეს თანხა 7 პროცენტით გაიზრდება.

## საქართველო – უკრაინას ჩვენი არბიტრები მოემსახურებიან?

20 მარტს საქართველო-უკრაინის ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების ამხანაგურ მატჩებს მოემსახურებიან ქართველი არბიტრები, თუ, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე სფფ-ს თხოვნას უკრაინელი კოლეგები გაიზიარებენ.



# ექსკლუზივი 20 მარტის თემაზე

არაორდინარული პერსონისგან, ბუნებრივია, არაორდინარულ იდეებს, გადაწყვეტილებებს მოელიან. ზეპ ბლატერმა რამდენიმეჯერ წარმოაჩინა თავისი ორიგინალური მიდგომა სხვადასხვა საკითხების მიმართ

ზეპი ბევრი იდეის პიონერია და ტრადიციას ალბათ არც შემდგომში უღალატებს. გაპრეზიდენტების მერე იოზეფ ბლატერს ჯერჯერობით არანაირი უცნაური (კარგი გაგებით) ნაბიჯი არ გადაუდგამს, მაგრამ შესაძლოა სულ მალე მან ეს გააკეთოს. და მართლაც, 20 მარტამდე დიდი დრო აღარ დარჩა, როდესაც ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი გამოავლენს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილს. ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი კი ბლატერის გაპრეზიდენტების შემდეგ საგრძნობლად (არა მთლიანად) გადახალისდა და ზეპის გავლენაც მასზე, რაღა თქმა უნდა, გაძლიერდა.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე 8 ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას. ინგლისი, გერმანია, ეგვიპტე, მაროკო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, განა, ნიგერია და ბრაზილია. თუ კანონზომიერებით გავაანალიზებთ სიტუაციას, უკეთესი შანსები გერმანიას და ინგლისს აქვთ. მაგრამ ამ საფეხბურთო და არა მარტო საფეხბურთო მონსტრებს, ერთმანეთის გარდა, სამხრეთ აფრიკისაც უნდა ეშინოდეთ — ხომ კარგად გვახსოვს თუ როგორ გახდა ზეპ ბლატერი ფიფას პრეზიდენტი, თუ როგორი გაქნილი პოლიტიკით მიიღო მან ხმები ფიფას აფრიკული წევრ-ქვეყნებისგან. მოკლედ, სასეიროდ 20 მარტი ნაღდად უნდა გამოდგეს, ხომ შეიძლება ვთქვათ, ნიგერიამ, ან სულაც განამ იმარჯვოს, არც მაროკო და ეგვიპტე გამოდგება მსოფლიო ჩემპიონატის სხვაზე ნაკლებად ეგზოტიკურ მასპინძლებად. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების სამშობლოში კი საამისო ფაცი-ფუცი რატომღაც სრულებით არ იგრძნობა, როგორც ჩანს, ბრაზილია ფორმალური კანდიდატის როლს ასრულებს, თუმცა შესაძლოა „Темная лошадка“ გამოდგეს. ყველაფრის თავიდათავი კი მაინც ზეპ ბლატერია. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან ფიფას გენერალური მდივნის პოსტზე მყოფ ბლატერს არაოფიციალურ საუბრებში მოიხსენიებდნენ პერსონად, რომელიც რეალურად მართავდა ფიფას. სწორედ იმ პე-

იხ. მე-3 გვ.



## მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან **50 წლისთავს** ულოცავენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ***ვაჟა კრავეიშვილს.***

## დაჯილდოება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ***ვაჟა კრავეიშვილი*** დეპარტამენტის ***საპატიო სიგელით*** დააჯილდოვა.



## არა, რის „ბრონდბიუ“

გადაწყვეტილი ამბავი იყო საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე „გრასჰოპერსიდან“ წელს ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე დანიურ „ბრონდბიუში“ გადადიოდა. არ ვიცით, რა მოსაზრებებით, ბოლო მომენტში ქართველმა ლეგიონერმა მენეჯერის მიერ შერჩეული ეს ვარიანტი იუარა, იტალიაში ჩავიდა და გუშინ ნაშუადღევს „სერია B“-ს „რეჯანასთან“ სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

როგორც შევიტყვეთ, „რეჯანა“ ბოლო პერიოდში საკმაოდ გაძლიერებულა. გუნდის მწვრთნელი მარკო ტარდელი იმედოვნებს, რომ მალე ახალი მოთამაშეები შეთამაშდებიან და უკვე ერთ წელიწადში „სერია A“-ში დაბრუნებისათვის იბრძოლებენ.

# გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ხალხი აღელვებული ჩანდა

**კიდევ ერთი იმედგაცრუება**

„საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოში სპორტი ხელისუფლებას აღარ აინტერესებს. იანვრის საერთაშორისო სპორტული ლონისძიებები უსახსრობის გამო ჩაიშალა — ხაზინიდან ნაცვლად 200 ათასისა, მივიღეთ 14 ათასი. უმკაცრა საფრთხის წინაშეა თებერვლის ლონისძიებები“, — განაცხადა სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსმა ამირან აბესაძემ გუშინ დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციაზე გულისწყრომას ვერ ფარავდნენ ფედერაციათა ხელმძღვანელები, რომელთა უკან დგანან აგრეთვე სპორტის მუშაკთა და მწვრთნელთა მთელი არმია, მათ კი, უკვე წელიწადი გახდა, ხელფასი არ მიუღიათ.

„სამათხოვროდ მე აქ მეტს აღარ მოვალ“ – განაცხადა სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა.

„რაღას მოვდივართ სამსახურში“ – თქვა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ.

მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, საფრთხეშია ქართული სპორტი საერთოდ, სათუო ხდება სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, რადგან უსახსრობით სპორტსმენები სალიცენზიო ტურნირებზე ვერ გაემგზავრებიან. ასევე სათუოა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობა.

## ტაილანდელებმა სიტყვა გატეხეს

როცა, ამას წინათ, შეგატყობინეთ, რომ საფინანსო პრობლემების გამო ტაილანდში საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი საქართველოს ნაკრებისთვის ლანდივით გაქრა, გულის სიღრმეში ეჭვი კი შეგვეპარა — „სამეფო თასის“ ოთხთა ტურნირი ხომ უშუალოდ ქვეყნის უმაღლესი დინასტიის მიერაა ხელდასმული და დაფინანსებული. და მაინც, აზიური ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციიდან სფფ-ში გამოგზავნილ ფაქსში ნათლად ეწერა — ფული შემოგვაკლდა და შეჯიბრი მაის-ივნისისათვისაა გადადებული. აბა, რა ექნათ ვლადიმერ გუცაევს და მის რაზმს: შეკვეთილი ბილეთები, ფეხბურთელების გამოძახების წერილები გააუქმეს და ახალი სპარინგპარტნიორების ძებნა დაიწყეს.

ამასობაში უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გუშინწინ ჩვენთვის საინტერესო და ამავდროულად მოულოდნელი ცნობა გაავრცელეს — ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში სამეფო თასის ოთხთა ტურნირი დაგეგმილ დროს (21-27 თებერვალი) ჩატარდება და მასში მასპინძელთა გარდა ითამაშებენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ტუნისისა და უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდები.

გამოდის, რომ ევროპიდან ტურნირის ორგანიზატორებმა საასპარეზოდ ქართველების ნაცვლად უნგრელები დაპატიჟეს. რა კრიტერიუმებითა თუ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ, უცნობია. ისე, ერთი რამ ცხადია, დიდი უპირო ხალხი ყოფილან ეს ტაილანდელები — სტუმარს ჯერ ეპატიჟები, მერე კი...

**თემა განსჯისათვის**

# „არქიმედის ბერკეტი“ ანუ სპორტული დიდების მუზეუმი უსაყრდენოდ

კიდევ ერთხელ გულისტკივილით ვუბრუნდებით ძველ და ნაცნობ თემას — საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმის ბედს, რომელიც ბოლო წლებში თბილისის სპორტის სასახლეშია შეხიზნული. ნებისმიერი მუზეუმი ნივთიერი მეხსიერებაა თაობებისთვის, საერთოდ, ერისთვის, სპორტული დიდების მუზეუმი კი ის ადგილი უნდა იყოს, სადაც მოწიწებით შეაღებენ კარს დამწყები თუ ღვაწლმოსილი სპორტსმენები, სპორტის გულშემატკივრები თუ უბრალოდ, დამთვალიერებლები. იყო დრო, აქ ფიცსაც დებდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამგზავრების წინ, მათ გზას ულოცავდნენ ვეტერანები. მერე ეს ტრადიცია მოიშალა, მუზეუმმა ფუნქცია დაკარგა, არადა, ყველას კარგად ესმის მისი უდიდესი მნიშვნელობა.

რა დღეშია ამჟამად ჩვენი საამაყო საგანძურის ეს სამყოფელი? წლები გადის, მუზეუმი კი ისეა მიტოვებული, თითქოს იგი არც არასდროს არსებულა და არც არავითარ ღირებულებას წარმოადგენდეს. ფაქტობრივად, ეს ადგილი კარგა ხანია უძვირფასესი ექსპონატების საცავს დამსგავსებია და, ალბათ, განიავდებოდა კიდეც, ორიოდე თანამშრომელ-მცველის თავდადება რომ არა.

ქვეყნის გაჭირვებაზე წუწუნი დღეს მოდადაა ქცეული. მაგრამ არანაირი წუწუნი არ ამართლებს ეროვნული სპორტული მემკვიდრეობისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას — ქვეყანას, როგორც უნდა უჭირდეს,ვალდებულია თუნდაც კიდევ უფრო გაიჭირვოს და იხსნას, ხალხის, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის სამსახურში ჩააყენოს თაობათა მონაპოვარი, უძვირფასესი რელიქვიები.

მეტის დახანება ნამდვილად აღარ შეიძლება. იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე, გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა შექმნას „საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმის ამოქმედების საორგანიზაციო ჯგუფი“, დავგეგმეთ პირველი შეხვედრაც — 1999 წლის 2 თებერვალი, 12 საათი „ლელოს“ რედაქცია. საორგანიზაციო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე ვიწვევთ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს, სპორტის სასახლის, მუზეუმის წარმომადგენლებს, ყველას, ვისაც გული შესტკივა და სურვილი გააჩნია წვლილი შეიტანოს პრობლემის გადაჭრაში.

ვიმედოვნებთ, ერთიანი ძალისხმევა უთუოდ გამოიღებს სასურველ შედეგს.

*მიმომხილველი*

## დაფასება

1999 წლის 28 იანვარს საქართველოს 18 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს ***ვახტანგ კოპალეიშვილს*** და მწვრთნელს ***თენგიზ კაციას*** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ.

ეს ჯილდო მათ 1997 წლის პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდულ თამაშებში გამარჯვებისათვის და 1998 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წარმატებითი დაძლევისთვის მიიღეს.

## დრო და პიროვნება

# ღვაწლი, რომელიც გორიდან იღებს სათავეს

თავისი საქმისადმი ისეთ თავდადებულ ადამიანებზე და პიროვნული ღირსებებით გამორჩეულ კაცზე, როგორიცაა გივი ხაჩიძე, დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მით უფრო, უკვე 70 წლისა გახდა და ქართული სპორტული ცხოვრების ათწლეულებმა მის თვალწინ და მისი მონაწილეობით გაიარა. იგი დღესაც ახალგაზრდული ენე-



გივი ხაჩიძე

რგიით მოღვაწეობს გორის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, სადაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის დეკანია, ამავე დროს სათავეში უდგას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ქართლის სამხარეო ორგანიზაციას. სათანადოდაა დაფასებული მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა – არის დოცენტი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სეოკ-ის წევრი ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან. 30 წელიწადი უცვლელად ედგა სათავეში გორის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას, დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

ხსენებული უმაღლესი სასწავლებელი იქცა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო სპორტულ ინსტიტუტად მთელს საქართველოში, რაშიც უდიდესი დამსახურება გივი ხაჩიძეს მიუძღვის. გორელი სტუდენტები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში: მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, ლელობურთში... ფალავნებმა ხომ მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

„ბედნიერება მხვდა წილად, რომ დიდხანს ვიმუშავე ისეთ უდიდეს პიროვნებასთან, როგორიც იყო ჩვენი ინსტიტუტის რექტორი გიორგი ხარაული – სპორტზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ყველა, ვინც მის დროს ილვწოდა სპორტში, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაივიწყებს ამ მართლაც შესანიშნავი ხელმძღვანელის თანადგომას, მის დამოკიდებულებას სპორტისადმი“ – ამბობს გივი ხაჩიძე და იქვე დასძენს, რომ ხარაულის ფუძეჩაყრილ ტრადიციებს ასევე სიყვარულით ეკიდებოდა და ალრმავებდა ყველა რექტორი, რომლებიც შემდეგ მოვიდნენ ინსტიტუტში. მიუხედავად სიძნელეებისა, ასეა დღესაც გედევან ახალაიას ხელმძღვანელობით. ამ რექტორის დამსახურებაა, რომ უკვე მეექვსე წელია აღდგა და მუშაობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგთა მოსამზადებელი ფაკულტეტი, აქ კვლავ თავდადებით შრომობენ წარსულში თავად ამ სასწავლებლის აღზრდილები პაპიტაშვილი, სხირელი, შოშიაშვილი, ზაუტაშვილი... ამჟამად ინსტიტუტს წარმოადგენენ ან ახლო წარსულში აქ სწავლობდნენ სახელგანთქმული ათლეტები მოკრივე გიორგი კანდელაკი, ძიუდოისტი გიორგი ვაზაგაშვილი, მოჭიდავეები დავით პოლოსიანი, ნიკოლოზ ბიბილაშვილი და სხვები.

დღეს მთელ საქართველოში შეხვდებით გორში აღზრდილ სპეციალისტებს, რომელთა შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები: ანზორ ქიბროწაშვილი, თემურ ხუბულური, კობა კურტანიძე, ჯემალ მჭედლიშვილი, გია თენაძე და, რაღა თქმა უნდა, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა კავშირიდან შოთა ჩოჩიშვილი.

გივი ხაჩიძემ, სპორტის მეშვეობით თავად გაიარა საქმისადმი თავდადებულ და ღირსეულ ადამიანთა წრთობის ქურაში იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლობდა. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ფეხბურთის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტები, სერგო შუდრა, ასირ გალპერინი და ასატურ გუკასიანი. ინსტიტუტში შესვლიდან დიპლომის აღებამდე ამ სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდის უცვლელი მეკარე იყო.

„ჩემს პედაგოგიურ ტაქტს, ალღოს და გამოცდილებას შესანიშნავ აღმზრდელებს ვუმადლი“ – ხშირად უთქვამს ღვაწლმოსილ პედაგოგს გივი ხაჩიძეს. ფეხბურთთან კავშირი არც შემდეგ გაუწყვეტია – თანაგუნდელებთან და მეგობრებთან კარლო ყრუაშვილთან და გიორგი ბაქანიძესთან ერთად მსაჯობდა საბჭოთა კავშირის პირველობებში.

ქართული ფრენბურთის ისტორია ინახავს 50-60-იან წლებში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდის წარმატებებს, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოში იმ პერიოდში. საკეთესონი საქართველოს ნაკრებში გამოდიოდნენ სსრ კავშირის პირველობებში. ეს წარმატებებიც, გუნდის მწვრთნელ გივი ხაჩიძის სახელთანაა დაკავშირებული.

მინდა „ლელოს“ მკითხველებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ინსტიტუტში დღესაც სწავლობს შესანიშნავი ტრადიციის გამგრძელებელი თაობა და მათ დაოსტატებაში, რექტორთან ერთად მხარში გვიდგას მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ყურადღებას და თანადგომას არ გვაკლებენ გორის მერიის ხელმძღვანელები, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძე“ – გვითხრა საუბრის დასასრულს გივი ხაჩიძემ.

თ. თომაშვილი

## ეს დღეები ბაკურიანში



## „ოლიმპიელი“ – ფერად ჟურნალად მოგვევლინა




ქართული სპორტული პრესა ნამდვილად არ განიცდის გამოცემათა სიმწირეს, მათ შორის იყო საქართველოს ეოკ-ის გაზეთი „ოლიმპიელი“, რომელიც 1999 წლიდან ფერად ჟურნალად იქცა და ამ დღეებში მისი პირველი ნომერიც მიიღო მკითხველმა.

„საქართველოში ოლიმპიზმის აგიტაცია-პროპაგანდასთან ერთად, სხვა მრავალი ქვეყნის ანალოგიური გამოცემების მსგავსად, „ოლიმპიელის“ მიზანია მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის დაინტერესებულ წევრებს გააცნოს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიზმისა და საერთოდ, სპორტის ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა...“ წერს ამ ახალი გამოცემის შესავალ წერილში სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ ზენაიშვილი. ნათქვამში არაფერია გადაჭარბებული – ჟურნალი ორენოვანია (ქართული და ინგლისური) და თავისთავად „ოლიმპიელი“ პირველი სპორტული გამოცემა იქნება, რომელიც უცხოელებს მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდის მასალებს.

## ნაკრები თურქეთში...

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები უფროსი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით წლევანდელ პირველ საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრება ანკარაში. ჭიდაობის ფედერაციამ გვაცნობა ნაკრების შემადგენლობა: ***58 კგ*** — ოთარ თუშიშვილი, ***63*** — დავით პოლოსიანი (ორივე — გორი), ***69*** — ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი), ***76*** — რევაზ მინდორაშვილი (გურჯაანი), ***85*** — თამაზ გეგეშიძე (თბილისი) და გოჩა ჩიხრაძე (გორი), ***97*** — ელდარ კურტანიძე (სოხუმი), ***მძიმე*** — ალექსი მოდებაძე (თბილისი).

4 თებერვალს, ირანში, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩავა ჩვენი ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მეორე ნაკრებები.

საქართველოს ჩემპიონატები კი 18-19 თებერვალს (ბ/რ ჭიდაობა) და 21-22 თებერვალს (თავ. სტილი) ჩატარდება თბილისში.

## ახალგაზრდა მოჭადრაკეების წარმატება

დამთავრდა თბილისის ვაჟთა პირველობა ჭადრაკში, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის შესარჩევ შეჯიბრებას წარმოადგენდა. ამ საგზურს სამი უძლიერესი ელოდა.

შეჯიბრება შვეიცარული სისტემით მიმდინარეობდა, 9 ტურად, საპრიზო ადგილებისათვის კი ახალგაზრდა მოჭადრაკეები იბრძოდნენ.

დიდხანს ლიდერობდა 14 წლის ლევან აროშიძე, მაგრამ ფინიშზე მას დაღლა დაეტყო. საბოლოოდ, 7,5-7,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ლევან ბახტაძემ და ზვიად იზორიამ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა პარმენ გელაზონია.

## მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგი და ჩვენები

ამ წლის დასაწყისში ფიდემ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტი“, რომელიც 1 ივლისამდე იქნება ძალაში.

50 უძლიერეს ქალს შორის 9 ქართველია. საინტერესოა, რომ არც ერთ სხვა ქვეყანას ქალთა „რეიტინგ-ლისტში“ ამდენი წარმომადგენელი არა ჰყავს.

მაია ჩიბურდანიძეს ამ სიაში იუდით პოლგარისა (უნგრეთი, 2677) და ალისა გალიამოვას (რუსეთი, 2548) შემდეგ მესამე ადგილი უკავია. მან შარშანდელი წლის მეორე ნახევარში 24 პარტია ითამაშა და მისი რეიტინგი 2551-ს უდრის. ითვლება, რომ ახლა მაია ჩიბურდანიძის საბრძოლო მზადყოფნა უდავოდ კარგია და ამიტომაც დიდი ინტერესით ველით მის უახლოეს სატურნირო გამოსვლებს. მთავარი მათ შორის, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი იქნება ნოკაუტ-სისტემით.

ნანა იოსელიანი (2493) მერვეა. მან 26 პარტია ითამაშა. ქართველ მოჭადრაკეს უსწრებენ მსოფლიოს ექსჩემპიონი და ახლანდელი პრეტენდენტი სიე ჟუნი (ჩინეთი, 2532), პია კრამლინგი (შვეცია, 2515), სოფია პოლგარი (უნგრეთი, 2505) და ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 2499).

დიანა დარჩიას (2445), რომელმაც შარშან დიდოსტატის წოდება მიიღო, სიაში მეთექვსმეტეა. ქეთევან კახიანი (2439), რომელიც ახლა გერმანიის სახელით თამაშობს, — მეცხრამეტე, ქეთევან არახამია (2431) — მეოცე. კახიანი საერთოდ ბევრს თამაშობს (43 პარტია ნახევარი წლის განმავლობაში), არახამიამ კი სულ 22 პარტია ითამაშა. ამ მოჭადრაკეებისათვის ახლა დიდი მნიშვნელობა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს ექნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეტენდენტთა ბოლო ასპარეზობა მათთვის წარუმატებელი გამოდგა, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, კიშინიოვში სულ სხვანაირი თამაში იქნება საჭირო.

ნინო ხურციძე (2404, 30-ე ადგილი) ჯერ მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში უნდა გამოვიდეს. იგივე ეხება მაია ლომინეიშვილსა (2375, 41-ე ადგილი) და ნინო გურიელს (2374, 43-ე ადგილი).

სახელგანთქმული დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ჭადრაკს. იგი ახლა 2365 ქულით 49-ე ადგილზეა. რა თქმა უნდა, სათანადო სატურნირო პრაქტიკის მიღების შემდეგ ნონას რეიტინგი, რომელიც აშკარად არ შეესატყვისება მის საჭადრაკო ძალას, უნდა გაუმჯობესდეს.

ვაჟთა უძლიერეს ასეულში ამჯერად სამი ქართველი დიდოსტატია წარმოდგენილი. ზურაბ აზმაიფარაშვილი წლის მეორე ნახევარში ცოტას თამაშობდა (10 პარტია). იგი ახლა მეთვრამეტეა (2673), და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის პერსონალური უფლება აქვს. ამ შეჯიბრებას უძლიერესი ქართველი დიდოსტატისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა გია გიორგაძემ და ზურაბ სტურუამ. გიამ 57 პარტია ითამაშა და ახლა 2616 ქულით 51-ე ადგილზეა. 72-ე ადგილი უკავია ზურაბ სტურუას (2605), რომელიც ასევე ბევრს (46 პარტია) და კარგი შედეგით თამაშობდა.

# ლიცენზიებისათვის ბრძოლა მალე დაიწყება

ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნების მშვილდოსნობის კავშირის შარშანდელ ბიულეტენში, გამოქვეყნებულია ევროპის ქვეყნების მშვილდოსანთა მაღალი რანგის შეჯიბრებების ვრცელი ანალიზი, აგრეთვე დაბეჭდილია „გრან პრის“ სერიისა და მსოფლიოს XXXX ჩემპიონატის კალენდარი, რომლებზეც შეიძლება სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება. „გრან პრის“ ტურნირები გაიმართება შემდეგ სახელმწიფოებში: პირველი ჩატარდება 22-25 აპრილს, კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში, მეორე — 20-23 მაისს თურქეთის განთქმულ კურორტ ანტალიაში, ხოლო მესამე — 17-20 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში. „გრან პრის“ სერიიდან ლიცენზიების გაცემის უფლება აქვს მხოლოდ ერთს, რომლის ვადები ცოტა მოგვიანებით დადგინდება და მსოფლიოს XXXX ჩემპიონატს (ივლისი, საფრანგეთის ქ. რიომი).



ისე რომ, აჭარლებს ხათუნა ფუტკარაძეს და სერგო ბერიძეს მზადების ცხარე დღეები დაუდგათ. მათ ახლა ყველაფერი სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ, რათა პირნათლად გაამართლონ გულშემატკივრების იმედები. დაბოლოოს, ვფიქრობთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ ბოლქვაძე, რომელიც ძალიან არის დაინტერესებული ამ სპორტსმენების წარმატებით, მზადების გადამწყვეტ ეტაპზე ყველა პირობას შეუქმნის მიზნის მისაღწევად.

საამაყოა, რომ როგორც 1997 წლის, ასევე შარშანდელი შედეგებით ჩვენი სახელოვანი მშვილდოსანი ქალი ნატო ნასარიძე, რომელიც აგერ უკვე მეხუთე წელიწადია თურქეთის სახელით გამოდის, კვლავ სათავეში უდგას კონტინენტის უძლიერეს მშვილდოსანთა სიას. იგი „გრან პრის“ სერიაში — თურქეთის ანტალია, გერმანიის ფიოგთი და ჩეხეთის ნიმბურკი — პირველ ადგილზე გავიდა. ნატომ შესაბამისად დააგროვა 22 (7-12-3) ქულა. მეორე ადგილზეა ყოფილი მოლდაველი სპორტსმენი ნატალია ვალეევა, რომელიც ახლა იტალიის სახელით გამოდის, მესამეზე — უკრაინელი ლინა პივჩუკი. მათ შესაბამისად აქვთ 18 და 15 ქულა.

ბიულეტენში გამოქვეყნებულია ევროპის რეკორდების ცხრილი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ნ. ნასარიძე ფლობს კონტინენტის სამ პირად და ორ გუნდურ რეკორდს:

1. მ-1 ვარჯიში (70, 60, 50 და 30 მეტრზე სროლა 144 ისრით) — 354 ქულა.
2. 70 მეტრზე სროლა 36 ისრით — 332 ქულა 360 შესაძლებლიდან.
3. 70 მეტრზე სროლა 18 ისრით — 171 ქულა 180 შესაძლებლიდან.

თურქ მშვილდოსან ქალებს ეკუთვნით ორი უმაღლესი მიღწევა:

1. მ-1 (3X144 ისარი) — 4.009 ქულა. გუნდის შემადგენლობა — ნატო ნასარიძე, ელიფ ალტიკაინაკი და გუნაუ დენიზ.
2. 70 მეტრზე (3X72 ისარი) — ნატო ნასარიძე, ელიფ ალტიკაინაკი, ელიფ ექსი. შედეგი — 1.963 ქულა.

რუბენ კაცობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ინტერი“ ეძებს და ეძებს

იმის მიუხედავად, რომ ახლა მილანის „ინტერს“ ისედაც ბევრი უცხოელი ოსტატი ჰყავს, იგი ეძებს და ყიდულობს ახალ-ახალ ვარსკვლავებს. მორიგი ასეთი შენაძენია 22 წლის მარცხენა მცველი ჟილბერტო. „კრუზეიროს“ ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ეს ის კლუბია, საიდანაც დაიწყო თავისი ევროპული მოგზაურობა რონალდომ. ამბობენ, სწორედ მან ურჩია „ინტერს“ ჟილბერტოს შეძენა.

— რა თქმა უნდა, — განუცხადა ჟილბერტომ „გაძეტა დელ 'პორტის“ კორესპონდენტს, — როცა თვით რონალდოს სურს თავის კლუბში გიხილოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი შენს მხარეზეა.

## მსოფლიოს უძლიერესი კლუბები 1998 წლის შედეგების მიხედვით

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შარშანდელი შედეგების მიხედვით გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო გუნდების „რეიტინგ-ლისტი“.

1. მილანის „ინტერი“ — 326 ქულა. 2. „ვასკო და გამა“ (რიო-დე-ჟანეირო) — 295,5. 3. მიუნხენის „ბაიერნი“ — 288. 4. სან-პაულუს „პალმეირასი“ — 284,5. 5. ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტი“ — 273. 6. რომის „ლაციო“ — 266. 7. „გლაზგო რეინჯერსი“ — 262,5. 8. მადრიდის „რეალი“ — 256. 9. მოსკოვის „სპარტაკი“ — 251. 10. „კრუზეირო“ (ბრაზილია) — 248. 11. ლონდონის „ჩელსი“ — 248. 12. „ბოლონია“ — 242. 13. კიევის „დინამო“ — 242. 14. ტურინის „იუვენტუსი“ — 240. 15. ლონდონის „არსენალი“ — 237. 16. „ბარსელონა“ — 235. 17. ასუნსიონის „ოლიმპია“ — 229. 18. „ლიონი“ — 28. 19. „ბრიუგე“ — 227. 20. „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 226 და ა.შ.



## პასარელას ამტყუნებენ

არგენტინის ტელეარხ „ტნ“-ს გადაცემაში ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის დანიელ პასარელას მდივანმა კლაუდიო კრისტამ საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენა. როგორც კრისტა თვლის, პასარელამ კლუბი „რივერ პლეიტი“ და ეროვნული ნაკრები თავისებურ „ფანჯარად“ გამოიყენა მოთამაშეთა შემდგომ ხელსაყრელი გაყიდვისათვის.

კრისტას სიტყვით, ძალიან საეჭვო იყო ნაკრებში მოთამაშეების გამოძახება, როგორნიც არიან მარსელო ესპინა, გუსტავო ლომბარდი და ნელსონ ვივასი. ისინი მალე ძალზე ხელსაყრელ ფასებად საზღვარგარეთის კლუბებს მიჰყიდეს. ასეთი მოთამაშეების სია სულ 27 კაცს შეადგენს. სხვებთან ერთად დასახელებული არიან რობერტო აიალა, რობერტო სენსინი, ლეონარდო ასტრადა, სერხიო ბერტი, მარსელო დელგადო, კლაუდიო ლოპესი და ერნან კრესპო. ნაკრებში „ჩვენების“ შემდეგ ისინი სწრაფად გაყიდეს. ევროპაში ასეთი უკანასკნელი „საჩვენებელი ეგზემპლარები“ იყვნენ თავდამსხმელი ხულიო კრუსი, რომელსაც ნაკრებში სამი თამაშის შემდეგ ჰოლანდიაში უკრეს თავი და ხუან სებასტიან ვერონი, რომელიც 6 მილიონ დოლარად გაყიდეს იტალიაში.

ყველა ამ ოპერაციაში მონაწილეობდა პასარელას უახლოესი მეგობარი გუსტავო მასკარდი. კრისტას სიტყვით, სწორედ მისი თხოვნით შეიყვანა მწვრთნელმა ნაკრებში ლოპესი და კრესპო, მოიშორა კანიჯა და კინაღამ ბატისტუტაც ნაკრების მიღმა დატოვა.

თვით პასარელა ამ ბრალდებებზე არ პასუხობს, მაგრამ არგენტინის ფედერალურმა სასამართლომ უკვე დაიწყო საქმის გამოძიება.

## „ვასკო“ მაყურებლებს პატივს არა სცემს?!

ბრაზილიელი ჟურნალისტების აზრით, „ვასკო და გამას“ ამტყუნებენ, რომ იგი მაყურებლებს პატივს არა სცემს. ძალიან ხშირად კალენდარულ მატჩებში „ვასკოს“ მწვრთნელ ანტონიო ლოპესს სათადარიგო შემადგენლობა გამოჰყავს, რასაც იმით ხსნის, რომ ერთ სეზონში 8 ოფიციალურ ტურნირში მოუხდა მონაწილეობა. „ფლამენგოსთან“ მატჩის დღეს ძირითადმა შემადგენლობამ კიდევ ერთხელ დაისვენა: ამ დღეს ლოპუსს მაინც გაუმართლა: „ვასკოს“ სათადარიგო შემადგენლობამ ფრედ 1-1 ითამაშა ოდესღაც მრისხანე მეტოქესთან.

## მსოფლიოს უძლიერესი ლიგები და მათი რეიტინგები

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოთვალა ქვეყნების ლიგების რეიტინგები. აი ისინიც:

1. იტალია — 1276.
2. ბრაზილია — 1198
3. ესპანეთი — 1096.
4. ინგლისი — 1031.
5. საფრანგეთი — 990.
6. გერმანია — 934.
7. არგენტინა — 912.
8. კოლუმბია — 864.
9. ბელგია — 797. 10. შოტლანდია — 789.
11. საბერძნეთი — 785.
12. რუსეთი — 748
13. ჰოლანდია — 707 და ა.შ.

## როი ჰოჯსონს მოუხმობენ?

„ბლეკბერნიდან“ განთავისუფლებული როი ჰოჯსონი, ადრე შვეიცარიის ნაკრებსა და მილანის „ინტერს“ რომ ედგა სათავეში, ახლა ინგლისური პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. საქმე ის არის, რომ ნაკრების ახალგაზრდა მწვრთნელ გლენ ჰოდლს „ტახტი“ ძალიან შეერყა. ნაკრები სუსტად თამაშობს ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში, ჰოდლს საოჯახო საქმეებიც აერია, ცოლი გაეყარა. გადადგა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დირექტორ-განმკარგულებელი გრემ კელი, რომელიც ჰოდლს ემხრობოდა. ასეთ პირობებში ჰოჯსონი ნაკრების მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატი გახდა.

## სტადიონი გაიხსნა... ვანდალური აქტებით

რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე“ რეკონსტრუქციის შემდეგ 115 ათასი მაყურებელი დაესწრო „ფლამენგოსა“ და „ფლუმინენსეს“ მატჩს, სადაც რომარიოს ორმა გოლმა „ფლამენგოს“ გამარჯვება მოუტანა.

სამწუხაროდ, ზეიმი ჩაშალა ორივე გუნდის გულშემატკივრების ვანდალურმა აქტებმა.

## კინომსახიობი გახდა

გამოჩენილი ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო მილანის „ინტერის“ თანხმობით „შეთავსებით“ კინომსახიობიც გახდა. იგი მონაწილეობს მხატვრულ ფილმ „ცეცხლოვანი მიწის“ გადაღებაში, რომელიც მიმდინარეობს რომში, ტოსკანაში, გალისიასა და ცეცხლოვან მიწაზე. მთავარ როლებს ასრულებენ გამოჩენილი იტალიელი მსახიობი ორნელა მუტი და ინგლისელი ჯერემი აირონსი.

## დორივა გააძლიერებს „სამპდორიას“

გენუის „სამპდორიის“ ახალი მწვრთნელი, ინგლისელი დევიდ ბლატი ცდილობს მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ხელმოწერილია ოთხწლიანი კონტრაქტი ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველ დორივასთან. 26 წლის ბრაზილიელი აქამდე პორტუგალიის „პორტუში“ გამოდიოდა.



## ერთი გუნდის ბაზაზე...

— თქვენი აზრით, ახალ მწვრთნელს შეუძლია თუ არა, ნაკრებს პრინციპულად რაიმე ახალი მისცეს? ასეთი კითხვით მიმართა რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს მოსკოვის ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ კორესპონდენტმა.

— რომანცევის, როგორც ნაკრების მწვრთნელის უპირატესობა რამდენადმე იმ გარემოებასაც ემყარება, რომ ახლა რუსეთში ნაკრების შექმნა ვარსკვლავური პრინციპით არ შეიძლება. თუნდაც იმიტომ, რომ ვარსკვლავები, უბრალოდ რომ ვთქვათ, არა გვყავს. მეორე — დღეისათვის ცენტრალიზებული მომზადების საშუალება არა გვაქვს: არ შეგვიძლია მოთამაშეების შეკრება და მათთან რამდენიმე კვირიანი მუშაობა. პირიქით, დაიწყო მომზადების ვადების შემცირება. ახლა ლაპარაკია არა ხუთ, არამედ 4 დღეზე, ამასთან, აქ ჩამოსვლისა და თამაშის დღეც ითვლება. ამიტომ გვრჩება ერთადერთი შესაძლებლობა — ნაკრები ერთი კლუბის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს. მწვრთნელთა საბჭოზე შეთანხმდნენ, რომ საბაზო კლუბის კრიტერიუმს დღეისათვის ყველაზე მეტად მოსკოვის „სპარტაკი“ უპასუხებს. რა თქმა უნდა, დაემატებიან ისინიც, ვინც დღეისათვის „სპარტაკის“ თამაშში იოლად „ეწერება“ და შეუძლია ნაკრების გაძლიერება. თვით რომანცევმაც ხომ თქვა, რომ ლეგიონერებს შორის, მოსტოვოის გარდა, ვერ ხედავს ნაკრებისათვის გამოსადეგ ფეხბურთელებს. გარდა ამისა, იგი რამდენადმე ცსკას მოთამაშეებსაც დაეყრდნობა.

## იტალია აღარ მოსწონს

გენუის „სამპდორიას“ წლევანდელ ჩემპიონატში საქმე ისედაც ცუდად აქვს, ახლა კი არგენტინელმა არიელ ორტეგამ ახალი თავსატეხი გაუჩინა. ამ დღეებში მან განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს იტალიის დატოვებას და სამშობლოში დაბრუნებას.

— ჩემი მხრივ უპატიოსნობა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ძალიან მომწონს აქ, ევროპაში ფეხბურთის თამაში, — განაცხადა „ჩოჩორად“ წოდებულმა ორტეგამ, — ეს განსაკუთრებით იტალიას ეხება, სადაც ყველა შენს ჩაყლაპვას ცდილობს. იტალიაში უამრავი სპორტული გადაცემაა, ბევრი სპორტული გაზეთია, მაგრამ აქ ფეხბურთი ისე კარგად არ ესმით, როგორც არგენტინაში. ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ეს გახლავთ თვითმფრინავის ბილეთის აღება და პირველივე რეისით ბუენოს-აირესში, მშობლიურ „რივერ პლეიტში“ დაბრუნება. რაც მალე გავაკეთებ ამას, უკეთესი იქნება. მალე 24 წელი შემისრულდება და ყოველდღიურად სამშობლოში დაბრუნებაზე ვოცნებობ.

როგორც ფიქრობენ, ორტეგა ძალიან გაანაწყენა ამასწინანდელმა ინციდენტმა პოლიციასთან. იგი ნასვამი მართავდა მანქანას.

## „ფლამენგოს“ აგონია

ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბი „ფლამენგო“ ახლა, ექსპერტების აზრით, სულს ღაფავს. ამას პირველ რიგში, კლუბის უხეირო მართვით ხსნიან. პრეზიდენტმა კლებერ ლეიტემ 4 წელიწადში 10 მწვრთნელი შეცვალა, მოთამაშეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ლეიტე საკმაოდ დაუფიქრებლად ახდენს სატრანსფერო ოპერაციებს. 1996 წელს, როცა „ლა კორუნიადან“ ბებეტო იყიდა, რომარიო მყისვე გაყიდა, შემდეგ ბებეტო გაყიდა და ისევ რომარიო შეიძინა, ყოველივე ეს კი სულ რაღაც სამ თვეში მოხდა. ის ფეხბურთელები, რომლებიც „ფლამენგოში“ მოდიოდნენ, სწრაფად კარგავდნენ საბრძოლო თვისებებს, მაგრამ ამ გუნდს რომ ტოვებდნენ ასევე სწრაფად იბრუნებდნენ მათ. ლუსიო 1996 წელს „გოიაესში“ ბრწყინავდა, „ფლამენგოში“ თავი არაფრით გამოუჩენია, შემდეგ „სანტოსში“ გადავიდა და კვლავ შესანიშნავად ითამაშა. პალინია „კრუზეიროს“ შემადგენლობაში „კოპა ლიბერტადორესის“ ერთ-ერთი გმირი გახდა, „ფლამენგოში“ რომ გადავიდა, ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ჩადგა. როდრიგო, „პორტუგეზეში“ რომ ასე ოსტატურად თამაშობდა, „ფლამენგოში“ საერთოდ დაიკარგა. იმასაც ამბობდნენ, რომ მან რომარიოსთან ურთიერთობა ვერ დაამყარა.

„ფლამენგოში“, ჟურნალისტების აზრით, აბსოლუტური არაპროფესიონალიზმის ვითარებაა. მოთამაშეები ისე იქცევიან, როგორც უნდათ. ეს, პირველ რიგში, რომარიოს ეხება. იგი ხშირად ისე ცუდად თამაშობდა, რომ მაყურებლები მინდვრიდან სტვენით აცილებდნენ. ეს ყველაფერი პირადად რომარიოს ბრალია. ერთხელ ტრავმამოუშუშებელი პლაჟზე წავიდა ფრენბურთის სათამაშოდ და კიდევ უფრო დაშავდა. ვერც კი მოასწრო გამოჯანმრთელება და ისევ დაშავდა, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ წავიდა.

## კლინსმანს მაინც არ აწყენინეს



იურგენ კლინსმანმა გერმანიის ფეხბურთელთა კავშირიდან მიიღო ცნობა, რომ მას გამოსათხოვარი მატჩის გამართვის იმედი არ უნდა ჰქონოდა. დიახ, 34 წლის თავდამსხმელს, რომელმაც ნაკრებში 10 წლის განმავლობაში 108 მატჩი გამართა, მონაწილეობდა გერმანელებისათვის ესოდენ კარგად წარმართულ მსოფლიოს 1990 წლის და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატებში, რატომღაც აწყენინებდნენ. მას აუხსნეს, რომ ასეთი გამოსათხოვარი მატჩები ჯერ კიდევ 1995 წელს აიკრძალა და უკანასკნელი, ვინც ეს უფლება გამოიყენა, რუდი ფიოლერი იყო. „გადაწყვეტილება საბოლოოა და ჩვენ არავითარ გამონაკლისს აღარ დავუშვებთ — განაცხადა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელსაც სხვა თანამდებობებთან ერთად გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც უკავია.

და მაინც კავშირს დათმობა მოუხდა. კლინსმანს ბოლოს და ბოლოს მისცა გამოსათხოვარი მატჩის უფლება. მისი პირველი კლუბი „შტუტგარტი“ მსოფლიო ვარსკვლავების წინააღმდეგ ითამაშებს.

## სანსი ახალი რონალდოს შეძენას აპირებს

გასულ კვირას სამეფო კლუბის პრეზიდენტი ლორენსო სანსი მოულოდნელად გაუჩინარდა. ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა მალე დაადგინეს, რომ „რეალის“ თავკაცი არგენტინაში გაფრინდა, სადაც ამ დღეებში მიმდინარეობდა სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი (20 წლამდე). ნეტავი ვინ არის ის ვუნდერკინდი, რომელმაც ამხელა კლუბის თავკაცს თავგზა აუბნია და ოკეანესგაღმა გამგზავრება გადააწყვეტინა?

ამბობენ, სანსს ძალიან მოსწონს... რონალდო. დიახ, ასე უძახიან 17 წლის პარაგვაელ ფორვარდ როკე სანტაკრუზს, რომელიც ასუნსიონის „ოლიმპიას“ ღირსებას იცავს და უკვე მოასწრო ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშიც. სხვათა შორის, ახალ რონალდოზე ნადირობა სანსამდე მადრიდის „ატლეტიკოს“ ექსტრავაგანტურ პრეზიდენტს ხესუს ხესუს ხილსაც უცდია, რომელსაც პარაგვაის დედაქალაქში გაუგზავნია მსტოვრები, მაგრამ ახალი რონალდოს ჩამოყვანა ესპანეთში ვერ მოხერხდა იმ უბრალო მიზეზით, რომ ხილი ფინანსური მაქინაციების გამო მოულოდნელად დააპატიმრეს და ამგვარად, ასუნსიონის „ოლიმპიამ“ ვერ მიიღო ფეხბურთელში შეპირებული თანხა.

მაშ ასე, მოკლე ხანში სამეფო კლუბში ახალი საფეხბურთო ვუნდერკინდი — ახალი რონალდო გაჩნდება. იქნებ მან პოპულარობით თავისი სეხნიაც დაჩრდილოს?

## კამპოსი აარსებს პროფკავშირს



როგორც ცნობილმა მექსიკელმა მეკარემ ხორხე კამპოსმა ამ დღეებში განაცხადა, ქვეყნის პირველობის უმაღლესი დივიზიონის მოთამაშეებმა აუცილებლად უნდა შექმნან პროკავშირი თავიანთი უფლებების დასაცავად. როგორც მსოფლიოს 1994 და 1998 წლების ჩემპიონატის მონაწილე კამპოსმა თქვა, ბევრ მექსიკელ მოთამაშეს პირდაპირ ხელ-ფეხი აქვს შეკრული კლუბებთან დადებული კონტრაქტებით. ეს მაშინ, როცა ფეხბურთელს უნდა შეეძლოს თვით გადაწყვიტოს თავისი ბედი.

— მიყვარს თავისუფლება. ყოველთვის ვიცვლიდი კლუბებს, როცა მსურდა, სადაც მინდოდა, იქ გადავდიოდი, არავინ არაფერს მაიძულებდა. აი, ჩემს მექსიკელ კოლეგებს კი არაფრის არჩევანი არა აქვთ. ამიტომაც არის აუცილებელი მექსიკაში პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის შექმნა.

## სამეგრელოს საფეხბურთო ცხოვრება

# ტურნირების სიმრავლე – მუშაობის ბარომეტრი

**ფაქტია,** საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფეხბურთისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. „ლელოს“ აქვს ფაქტები, რომ ზოგან ფეხბურთის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები მხოლოდ ქაღალდზე თუ არსებობს და ისინი უფრო ხმების მოგროვების მიზნითაა შექმნილი ყრილობისწინა პერიოდში. საბედნიეროდ, ასეთთა რიცხვს არ ეკუთვნის ენგურისპირა რგოლები. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი ოთარ ჭითანავა) გარჯის შედეგად საფეხბურთო ცხოვრება ამ კუთხეში, მიუხედავად იქ არსებული სიძნელეებისა, მართლაც რომ სამაგალითოა: ტურნირი ტურნირს ცვლის. ასე რომ, ადგილობრივ გულშემატკივრებს ზოგჯერ თავსატეხიც უჩნდებათ, რომელ შეჯიბრებას დაესწრონ. მაგალითისათვის სამეგრელოში ბოლო დროს ჩატარებულ ასპარეზობებზე მოგითხრობთ.

**ამას წინათ** დასრულდა მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის სახელობის თასების ჭაბუკთა ზონალური გათამაშების პირველი წრის მატჩები. მიხეილ მესხის თასზე 15 გუნდი მონაწილეობს, სლავა მეტრეველის თასზე კი – 17. შესაბამისად ამ შეჯიბრებებში ლიდერობენ განმუხურის „ენგური“ (28 ქულა) და ზუგდიდის „ლაზიკა“ (40). გათამაშების მთავარი მსაჯის ჯემალ გოგიას ინფორმაციით, ბავშვთა საფეხბურთო გუნდებს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში დიდად წაეხმარნენ ზუგდიდის (პრეზიდენტი გურამ შელია), ფოთის (ბორის ბარამია), სენაკის (იური მილორავა) ფეხბურთის ფედერაციები, ასევე ზუგდიდის ბავშვთა საფეხბურთო გუნდ „ლაზიკას“ (გია კანკია) ხელმძღვანელობა. მეორე წრის მატჩები ერთ თვეში განახლდება.

**ასევე** დასრულდა სამეგრელოს რეგიონალური ჩემპიონატის პირველი წრე. გათამაშებას სათავეში ჩაუდგა ლესიჭინეს „მერცხალის“ გუნდი. რაც შეეხება რეგიონის თასს, აქ ფინალურ მატჩში, რომელიც აპრილში გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან დარჩელის „ჩელა“ და ლესიჭინეს „მერცხალი“.

**ადგილობრივი** გულშემატკივრებისა და რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ამიერიდან სამეგრელოს ბავშვთა გუნდები გაითამაშებენ სფფ-ს პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სახელობის თასს. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას ღებულობენ 1986-1987 და შემდგომ წლებში დაბადებული ჭაბუკები. სულ 16 გუნდი. პირველი წრის შემდეგ ლიდერობს ფოთის „ფაზისი“.

**ამ დღეებში** ზუგდიდში დასრულდა კიდევ ორი ტურნირი. 1988-1989 წლებში დაბადებული ჭაბუკები ერთმანეთს ეცილებოდნენ ზუგდიდის „ენგურის“ ფეხბურთელის ანზორ ფირცხალავას ხსოვნის თასს. ასპარეზობაში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა „ქუთაისი-94“-ის გუნდმა (მწვრთნელი მერაბ მეფარიძე).

**15-16 წლის** ჭაბუკების 6 გუნდი ერთმანეთს ეპაექრებოდა ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელის პანტელეიონ თუთბერიძის ხსოვნის ტურნირში. აქ ყველას აჯობა ზუგდიდის ტრადიციონალისტთა გუნდმა (მწვრთნელი გიორგი კალანდია). ტურნირის რჩეულ ფეხბურთელებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები.

საააგენტო
„გუმათი“ – „ლელო“

## მოკლედ ნომრიდან – ნომრამდე

● **პრემიერლიგის** კლუბ „მიდლსბროს“ ბრაზილიელი ჟუნინიოს დაბრუნების შანსი მიეცა – ამ კვირაში ესპანური „ატლეტიკოს“ მესვეურები ინგლისში ჩავლენ და მოილაპარაკებენ მომავალი ტრანსფერის დეტალებზე. შეგახსენებთ, უწინ ფეხბურთელი მშობლიური „სან-პაულუდან“ 7,5 მილიონ დოლარად გადავიდა „მიდლსბროში“, სადაც 18 თვე დაჰყო, შემდეგ კი ჟუნინიო „ატლეტიკომ“ შეიძინა – მასში ესპანელებმა 19 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

● **იტალიელი ატილიო ლომბარდო, რომელიც ლონდონურ „კრისტალ პალასში“ გამოდიოდა, სამშობლოს უბრუნდება. იგი 1,8 მილიონი დოლარის საფასურად რომის „ლაციომ“ შეიძინა. ახლა მელოტი ლომბარდო 33 წლისაა და ახალ კლუბში მომავალი სეზონის ბოლომდე დარჩება.**


ლომბარდო

● **ამ დღეებში** ფრანგმა მსოფლიო ჩემპიონმა მარსელ დესაიმ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია, რომელზეც ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჩელსიდან“ წასვლა არ სურს, ხოლო ხმები მწვრთნელ ჯანლუკა ვიალისთან, თითქოსდა, მომხდარ კონფლიქტზე სინამდვილეს არ შეეფერება.


მათეუსი

● **გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავმა ლოთარ მათეუსმა ჟურნალ „კიკერსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გაისად, ევროპის პირველობის დასრულების შემდეგ თავს ანებებს აქტიურ ფეხბურთს. ამ დროისათვის იგი 39 წლის იქნება.**

## „თანამეგობრობა-99“: სენსაცია არ მომხდარა – „დინამომ“ სამივე მატჩი წააგო და თბილისისაკენ აიღო გეზი

სამწუხაროდ, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე „დინამომ“ მესამე შეხვედრაც წააგო – ამჯერად ბელარუსის „დნეპროტრანსმაშთან“ 3-5. გოლები – 1-0 ასათიანი (11 წთ.), 1-1 ლანკო (12), 1-2 ოგოროდნიკი (18), 2-2 მიქაძე (21), 3-2 შენგელია (34), 3-3 ჩუმაჩენკო (35), 3-4 ოგოროდნიკი (44), 3-5 ჩუმაჩენკო (90).

ამ მატჩში წაგებული გუნდი გაისად „თანამეგობრობაზე“ დაბალ დივიზიონში ისასპარეზებდა, ამიტომ თამაშმა თავიდანვე უკომპრომისო ხასიათი მიიღო. გოლებიც საკმაოდ გავიდა. დასანანია, ახლაგაზრდა დინამოელებმა დატვირთვებს ვერ გაუძლეს და მარცხი განიცადეს. თავის ჯგუფში თბილისელმა ფეხბურთელებმა ბოლო ადგილი დაიკავეს და, ცხადია, ბრძოლას გამოეთიშნენ.

## სანამ მეორე წრე დაიწყება

თურქეთში შეკრებას გადიან ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები. გუშინწინ მათ ამხანაგური მატჩი გამართეს იქაური მეორე ლიგის „ფენდიქსფორთან“. წულით დატბორილ მინდორზე მეტოქეებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს. ქუთათურები მეორე შეხვედრას დღეს ჩაატარებენ, ამჯერად უკრაინის ქალაქ მარიუპოლის „მეტალურგის“ გუნდთან.

ისე, საკვირველია, რატომ მიდიან ჩვენი გუნდები მოსამზადებლად საზღვარგარეთ. აქ, მაგალითად, თბილისში გაცილებით უკეთესი კლიმატური პირობებია. ასე, გუშინწინ დილმის ბაზაზე თბილისის „დინამო“ „ვიტ-ჯორჯიას“ რომ ეთამაშებოდა, 14 გრადუსი სითბო იყო. ფეხბურთელებიც ხასილიანად ირჯებოდნენ. ვეტერინარებმა მატჩი მინიმალური ანგარიშით 1-0 მოიგეს გიორგი ქორიძის გატანილი გოლის წყალობით.

# ვარიაციები 20 მარტის თემაზე

*(პირველი გვერდიდან)*

რიოდში, კერძოდ, სამი წლის წინათ, ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა უცნაური და ორიგინალური ვერდიქტი გამოიტანა – 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონტის ჩატარება შორეულ აღმოსავლეთში, თანაც ორ ქვეყანაში. ამაში ბლატერის არაორდინარული ხელის მოქმედება ძნელი ამოსაცნობი არ იყო, ახლა კი ბლატერისგან, რომელიც რეალურადაც და ფორმალურადაც მართავს მსოფლიო ფეხბურთს, ვითომ კიდევ უფრო არაორდინარულ ნაბიჯს უნდა ველოდოთ? თუმცა შესაძლოა ეს არაორდინარულობა მოჩვენებითი იყოს. საამისოდ, ვფიქრობთ, ყველაზე უპრიანი იქნება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებისკენ მივაპყროთ მზერა.

„გავერთიანდეთ ახალი პარტნიორობისთვის“ – აი, ასეთი ლოზუნგი, თუ გნებავთ, იდეოლოგია, უდევს საფუძვლად ორი ყოფილი მეტოქის ურთიერთობებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. ეს ისტორიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ფიფას აღმასკომმა 1996 წლის 31 მაისს მიიღო – კორეამ და იაპონიამ სხვა კონკურენტებზე მეტად მძაფრი ბრძოლის შედეგად იმარჯვეს. საამისოდ დაიხარჯა მილიონობით დოლარი, ხშირად გამოითქმებოდა უხეში და მკაცრი სიტყვები და ეს გრძელდებოდა (იაპონიასა და კორეას შორის) ოფიციალურად გამოცხადების კომპრომისის შემდეგაც, მაგრამ განწყობა, როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათან, ნელ-ნელა შეიცვალა. თუმცა, ჯერჯერობით ორივე ქვეყანა არსებითად ინდივიდუალურ ბაზისებს ეყრდნობა. როგორც ჩანს, საერთო ფრონტი დაფუძნდა ორ განსხვავებულ სირთულეებს შორის. პირველ ხანებში ბლატერი ამით აღშფოთებას ვერ ფარავდა, მაგრამ შემდეგ მოახერხა სიტუაციის ცენტრალიზება – როგორც ფიფას, ასევე კორეა-იაპონიის საორგანიზაციო კომიტეტების რწმუნებით ყველაფერი კარგად მიდის. ბლატერი ფიფას აღმასკომის გადაწყვეტილების მართებულობას იმით ხსნიდა, რომ კორეამ უკვე წარმატებით უმასპინძლა დიდ სპორტულ მოვლენას, ოლიმპიურ თამაშებს სეულში 1988 წელს, ხოლო იაპონია კი ასეთ გამოცდილებას ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის შედეგად შეიძენსო. მაგრამ საქმე მთლად ასე მარტივად როდია – კორეასა და იაპონიაში თავისებურია, რის გამოც რთულია იწინასწარმეტყველო თუ როგორი წარმატებით უმასპინძლებს მონდიალს აზიის ორი მოწინავე ქვეყანა.

იაპონიაში „ჯეი ლიგა“ (JAPAN LEUGUE) 1992 წელს შეიქმნა. ამ პროფესიონალურ ლიგას მძლავრი ინვესტორები გამოუჩნდნენ. იაპონურმა კლუბებმა ფული ძირითადად ხანდაზმული, მაგრამ სახელგანთქმული ევროპელი თუ სამხრეთამერიკელი ვარსკვლავების ყიდვას მოახმარეს. საქმეს თავიდან კარგი პირი უჩანდა, მაგრამ სიტუაცია თანდათან უარესდებოდა. იაპონიის ეროვნული გუნდი აზიის ჩემპიონატში რაიმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ აღწევდა, ვერც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. გულშემატკივრებმაც გული აიცრუეს ფეხბურთზე და „ჯეი ლიგის“ მატჩებსაც მაყურებელი თანდათან აკლდებოდა. იაპონური ფეხბურთი, შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის ერთმა გადაწყვეტილებამ იხსნა – ეროვნული გუნდის მწვრთნელი შუ კამო მიაბრძანეს და მის ასისტენტს, ტაკეში ოკადას დაავალეს საფრანგეთი-98-ის საგზურის მოპოვება.

როგორც მოგეხსენებათ, ექსპერიმენტმა გაამართლა და ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრები პირველად მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამან, ბუნებრივია, ფეხბურთის რეანიმაცია მოახდინა იაპონიაში და შედეგად ინვესტორებსაც საბოლოოდ ხელი არ ჩააქნევინათ, რომ არა ყოველივე ეს, სავსებით შესაძლებელი გახდებოდა ნომერ პირველი სპორტული მოვლენის, რბილად რომ ვთქვათ, წარუმატებელი მასპინძლობა. სხვა მხრივ, იაპონიას აბა რა პრობლემა უნდა შექმნოდა – ამ მოწინავე ქვეყანაში თანამედროვე არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის მქონე ათი ისეთი სტადიონია, თითოეულის ტევადობა 40 ათას კაცს აჭარბებს. ყველაზე დიდი ტევადობა კი იოკოჰამას საერთაშორისო სტადიონს აქვს – 70 336 კაცი.

ახლა ორიოდ სიტყვა სამხრეთ კორეაზეც ვთქვათ. კორეელებს შეუძლიათ იმით დაიტრაბახონ, რომ მათ აზიაში ყველაზე ადრე ჩამოაყალიბეს პროფესიული ლიგა (1983 წ.). ალბათ ამიტომაც კორეელებს უძლიერესი საკლუბო სისტემა აქვთ კონტინენტზე. აზიის საკლუბო ჩემპიონატის ბოლო სამი გათამაშება კორეულმა კლუბებმა იზეიმეს. ბოლოს ეს „პოჰანგ სტილერსმა“ მოახერხა. ყოვლად გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორეა ყველაზე უფრო საფეხბურთო ქვეყანაა აზიაში. მათი ეროვნული გუნდი ოთხჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და 13 მატჩი ჩაატარეს. კორეელები ამ სტატისტიკით ძალიან ამაყობენ, რადგან ჯერჯერობით არც ერთ აზიურ ნაკრებს არ ძალუძს მათი რეკორდების მოხსნა. აზიელთაგან მხოლოდ მათ ჰყავდათ ისეთი კერპი, რომელიც 9 წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ეროვნულ ჩემპიონატში ბუნდესლიგაში – ბუმ კუნ-ჩა, რომელიც 80-იან წლებში თამაშობდა ჯერ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“, მერე კი ფრანკფურტის „აინტრახტში“. იმდროინდელმა გერმანელთა კერპმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, ბუმ კუნ-ჩას შემხედვარემ, კორეას „საფეხბურთო ბანანის რესპუბლიკა“ უწოდა. ეს ფორმულირება მაშინ მყისვე აიტაცეს, კორეელებმა კი სამართლიან კრიტიკად მიიჩნიეს. გარედან კრიტიკამ კორეელები არ დათრგუნა. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე როგორც საერთაშორისოზეც, მაყურებელი სტაბილურად დადის. ფეხბურთის პოპულარობას კორეაში საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება, რასაც საფრანგეთი-98-ში მონაწილეობამაც შეუწყო ხელი. კორეაში ფეხბურთის განვითარების ტემპის ზრდას მხოლოდ ეკონომიკური პრობლემები აფერხებს.

თუმცა იაპონელების დარად, მათაც გააჩნიათ 10 ისეთი სტადიონი, რომელთა ტევადობა 40 000-ს აღემატება. მაგრამ ისინი თანამედროვე მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებენ (ფიფა ორივე ქვეყნიდან საბოლოოდ 6-6 სტადიონს აირჩევს მონდიალისათვის).

აი, ასეთი ქვეყნები აირჩია სამი წლის წინათ ფიფას აღმასკომმა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისათვის. ახლანდელ 8 კანდიდატს სულ სხვანაირი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ პრინციპი, რითაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ქვეყანას, ალბათ იგივე დარჩება. ოღონდ ესეც ვერ გვაძლევს ზუსტი პროგნოზის საშუალებას, რადგან ფიფას რეალურად და ფორმალურადაც არაორდინარული კაცი მართავს.


ვითომ აფრიკის ჯერიც დადგა?

დათო თავართქილაძე

## 2000 წლის აფრიკის თასი

### შესარჩევი ტურნირი

**I ჯგუფი**

ერითრია – კამერუნი 0-0
განა – მოზამბიკი 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| მოზამბიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ერითრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**II ჯგუფი**

გვინეა – მაროკო 1-1
სიერა ლეონე – ტოგო – გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| ტოგო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| გვინეა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| სიერა ლეონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**III ჯგუფი**

კოტ დ'ივუარი – ნამიბია 3-0
კონგო – მალი 0-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დ'ივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| კონგო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| მალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 3 |
| ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**IV ჯგუფი**

მავრიკია – სამხ. აფრიკა 1-1
ანგოლა – გაბონი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ანგოლა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| გაბონი | 2 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| მავრიკია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**V ჯგუფი**

ნიგერია – ბურუნდი 2-0
სენეგალი – ბურკინა ფასო 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| ბურუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| ბურკინა ფასო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| სენეგალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**VI ჯგუფი**

მადაგასკარი – ზამბია 1-2
დრ კონგო – კენია 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დრ კონგო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ზამბია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| კენია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| მადაგასკარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**VII ჯგუფი**

ალჟირი – ტუნისი 0-1
ლიბერია – უგანდა 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| ლიბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| უგანდა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| ალჟირი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა**

# როცა ახალგაზრდა მწვრთნელებს უმართლებთ



ჯანლუკა ვიალი კორესპონდენტთა გარემოცვაში...

დაიწყო ინგლისის ჩემპიონატის მეორე წრე. რა თქმა უნდა, პირველი ადგილის აშკარა პრეტენდენტებზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, არავინ არის დაზღვეული ჩავარდნისაგან, მით უმეტეს, როდესაც სეზონი ესოდენ ხანგრძლივია. დიდი ბრძოლაა სატურნირო ცხრილის ბოლოში მყოფ გუნდებს შორისაც — აქაც ადრეა ხელის ჩაქნევა.

22 თამაშიდან 43 ქულით პირველ ადგილზეა ლონდონის „ჩელსი". იგი შარშანდელ ჩემპიონატშიც, როცა კლუბს სათავეში რუუდ გულიტი ედგა, კარგად თამაშობდა, მაგრამ ახლანდელი პროგრესიც სრულიად აშკარაა. საქმე ის არის, რომ ჯანლუკა ვიალიმ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა მთავარი პრობლემა — არასაიმედო თამაში დაცვაში. ეს, რა თქმა უნდა, ისე იოლად არ გაკეთებულა. საჭირო გახდა ორი ცნობილი ოსტატის: მარსელ დესაიისა და ალბერტ ფერერის მოწვევა. ამის შემდეგ ლონდონელთა დაცვამ უფრო ხისტად დაიწყო თამაში. ახლა მიღებული ბურთების რაოდენობით (18) „ჩელსი" ლიგაში მეორეა „არსენალის" (11) შემდეგ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გასვლით მატჩებში უძლიერესი მეტოქეების წინააღმდეგ „ჩელსი" განსაკუთრებით ფრთხილად თამაშობს, თვით ვიალი კი ამბობს, რომ „ფრე მანჩესტერსა ან ლივერპულში ჩვენთვის გამარჯვების ტოლფასია". რა თქმა უნდა „ჩელსისაც" აქვს თავისი პრობლემები. უმძიმესი ტრავმა მიიღო პიერლუიჯი კაზირაგიმ და არავინ იცის როდის დაუბრუნდება იგი მინდორს. ასევე დაშავებული იყო ტორე-ანდრე ფლო. სეზონის დაწყების წინ მოთამაშე მწვრთნელი ვიალი აპირებდა ძალების დაზოგვას და მინდორზე იშვიათად გამოსვლას, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ აიძულა გაიხსენოს, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ იგი თვით იყო განთქმული სნაიპერი. ახლა ვიალი გახალისებულია არა მარტო გუნდის თამაშით, არამედ იმითაც, რომ თურმე ჯერ კიდევ ყველაფერი არ დავიწყებია. მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ წელს „ჩელსი" ჩემპიონი გახდა, ვიალი ინგლისის ისტორიაში მეორე მოთამაშე მწვრთნელი იქნება, რომელმაც ესოდენ დიდ ტრიუმფს მიაღწია, პირველი კი 13 წლის წინათ იყო ჯენი დალგლიში „ლივერპულში".

ინგლისის პირველობის 22-ე ტური 16 იანვარს გაიმართა, მომდევნო დროთასის თამაშებს დაეთმო. 23-ე ტური ხვალ, 30 იანვარს ჩატარდება, ამასთან, „ჩელსიმ" ლონდონშივე, მაგრამ მეტოქის სტადიონზე უნდა ითამაშოს „არსენალთან", ხოლო 6 თებერვალს ერთ-ერთ აუტსაიდერ „საუთჰემპტონს" მიიღებს.

ყველაზე მეტი გოლი (49) ახლა „მანჩესტერ იუნაიტედს" გააქვს. იგი 41 ქულით მესამე ადგილზეა. წინა ხაზზე ჩინებულად თამაშობს იორკისა (11 გოლი) და კოულის (10) წყვილი. მართალია, ალექს ფერგიუსონს საკმაო პრობლემები აქვს დაცვაში. ბირმინგემის „ასტონ ვილა" მიმდინარე სეზონში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. იგი თითქმის მთელ პირველ წრეს ლიდერობდა, ახლა კი 43 ქულით მეორეა. „ასტონ ვილა" სხვა ლიდერებისაგან განსხვავებით თითქმის მთლიანად ინგლისელებისაგან არის დაკომპლექტებული („ჩელსიში" ზოგჯერ სასტარტო შემადგენლობაში ორიოდე ინგლისელი თუ გამოდის). მას სათავეში უდგას ახალბედა მწვრთნელი ჯონ გრეგორი, რომელმაც მოკლე ხანში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. გრეგორის ძალიან კარგი „თვალი" აქვს, დროზე შეიძინა „კოვენტრიდან" დიონ დაბლინი, რომელმაც პირველ სამ მატჩში „ვილას" შემადგენლობაში გაიტანა 8 (!) გოლი, ახლა კი 12 გატანილი ბურთით სნაიპერთა შორის მეორე ადგილზეა მარკ ოუენის („ლივერპული" 13 გოლი) შემდეგ. როგორც გრეგორიმ განაცხადა, იგი მალე იყიდის კიდევ 2-3 ძლიერ ფეხბურთელს და აი, მაშინ კი ნახეთო! აქამდე „ასტონ ვილას" არ მიაკუთვნებდნენ ინგლისელი გრანდების რიცხვს, ახლა კი შეიძლება ეს შეხედულება გადაისინჯოს კიდეც.

ინგლისის ჩემპიონი „არსენალი" ახლა 39 ქულით მეოთხე ადგილზეა. ექსპერტები თვლიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელშიც ლონდონელთა ბევრი ფეხბურთელი მონაწილეობდა, კლუბის თამაში აშკარად გაუფერულდა, ჩემპიონთა ლიგამ მოთამაშეები კიდევ უფრო გადაღალა და არსენ ვენგერის გუნდი ნამდვილ საავადმყოფოდ იქცა. მეხუთე ადგილზე მყოფ „ლიდს იუნაიტედს" 36 ქულა აქვს. მიმდინარე სეზონი უკვე დაწყებული იყო, როცა მისი მთავარი მწვრთნელი ჯორჯ გრემი თავის ადრინდელ კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურსში" გადავიდა. და სადავეები ყოფილ ასისტენტ დევიდ ო'ლირის გადააბარეს. იგი ადრე „არსენალისა" და ირლანდიის ნაკრების ცნობილი მცველი იყო, მწვრთნელის როლში დებიუტი ჰქონდა და თანაც როგორი! „ლიდსი" მეტად ძლიერად ათამაშდა და ახლა, ჩემპიონობის პრეტენზიებიც აქვს. პირველი, რაც გააკეთა ო'ლირიმ, იყო „ნიუკასლიდან" ნახევარმცველ დევიდ ბეტის შეძენა. ეს მიმომხილველებმა უფრო სიმბოლურ ნაბიჯად ჩათვალეს, რადგან ბეტი „ლიდსში" თამაშობდა 1991-92 წლების სეზონში, როცა გუნდი ინგლისის ჩემპიონი გახდა. იმ პლეადიდან ახლა გუნდში აღარავინ დარჩენილა, „ლიდსი" ახალგაზრდა და ამბიციური მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ლივერპულში, როცა თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მასპინძლები წინ იყვნენ — 1-0, „ლიდსის" თითქმის უცნობი თავდამსხმელის, 18 წლის ალან სმითის წყალობით სტუმრები ზედიზედ სამ ბურთს გაიტანდნენ და მოულოდნელად მოიგებდნენ ამ შეხვედრას!

ორიოდე სიტყვა „ლივერპულზე", რომელიც ახლა 35 ქულით მეექვსე ადგილზეა. სეზონის დასაწყისიდან აქ თავისებური ექსპერიმენტი ჩატარდა — გუნდს ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა: საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ჟერარ ულიე და როი ევანსი. ამ სიახლემ „ლივერპულს" კარგი არაფერი მოუტანა და ევანსს გადადგომა მოუხდა. მას შემდეგ, რაც ერთმმართველი გახდა, ულიემ თავის თანაშემწე ფილ ტომპსონთან ერთად შეადგინა გეგმა, თუ როგორ უნდა გადაეხალისებინა დაცვა, რომლის თამაში აშკარად არ აკმაყოფილებდა. მცველების მთელი ჯგუფიდან, მისი აზრით, უნდა დარჩეს მხოლოდ ორი: ჯეიმი კარაგერი და სტივ სტაუნტონი. კლუბის ხელმძღვანელობა მართლაც დაფაცურდა და მალე იყიდა სამი მცველი: ჟან-მიშელ ფერი (საფრანგეთი), რიგობერ სონგი (კამერუნა) და ფროდე კიპე (ნორვეგია). ერთი სიტყვით, ულიე იმედოვნებს, რომ მდგომარეობა დაცვაში უნდა გამოსწორდეს. ნახევარდაცვა (ინსი, რედნეპი, ბერგერი, მაკმანამანი) საუკეთესოა, თავდასხმაში დაბრუნდა ფაულერი და ადგილი დაიკავა ოუენის გვერდით, გერმანელი ვეტერანი რიდლე კი ახლა შეცვლაზე გამოდის. ამასთან, „ინგლისური პრესის ცნობით, კლუბი აშკარად დაკარგავს მაკმანამანს, რომელმაც აღარ მოისურვა „ლივერპულთან" ახალი კონტრაქტის ხელმოწერა, ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და გადადის ან „ბარსელონაში", ან მადრიდის „რეალში". საყურადღებოა, რომ მას „რეალი" პირდაპირ ზღაპრულ ანაზღაურებას, კვირაში 110 ათას გირვანქა სტერლინგს (!) ჰპირდება, „ლივერპულში" კი სამ-ოთხჯერ ნაკლებს იღებდა!

დანარჩენი გუნდებიდან უნდა აღინიშნოს „ნიუკასლ იუნაიტედი" (25 ქულა), რომელიც მოშორდა სახიფათო ზონას. ამასთან, თემურ ქეცბაიამ ძალიან კარგად ჩაატარა მატჩები როგორც ჩემპიონატში, ისე ინგლისის თასზეც.

**ბივი გამრეკელი**

## პაოლო დიკანიო და მარკ ვივიენ ფოე გაიყიდნენ



გუშინ „ასოშეიტედ პრესის" სააგენტომ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ პრემიერლიგაში მოასპარეზე ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" ორი ლეგიონერი შეიძინა. იტალიელი ***პაოლო დი კანიო*** და კამერუნელი ***მარკ-ვივიენ ფოიე***. აპენინელის გადმობირებისათვის ლონდონელებმა 2,8 მილიონი დოლარი ჩაუთვალეს „შეფილდ უენსდეის", ხოლო აფრიკელისთვის 6,6 მილიონი დოლარი ფრანგულ „ლანსს". კონტრაქტებზე ხელმოწერის შემდეგ ფეხბურთელები მყისვე ახალი კლუბის ფორმით შეიმოსნენ და არც ფოტორეპორტიორების წინ პოზირება ითაკილეს.

**ფეხბურთი უბურთოდ**

## სალასი ინდიელთა ტომის ბელადი?

ჩილეს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებისა და იტალიის „ლაციოს" ბომბარდირი მარსელო სალასი, ალბათ, მალე ინდიელთა ტომის — მაპუჩის ბელადი გახდება. ამ ამერიკელმა აბორიგენებმა აქტიურად გაილაშქრეს გენერალ აუგუსტო პინოჩეტის წინააღმდეგ, ვინაიდან თავის დროზე მან ინდიელ ტომებს ასი ათასობით ჰექტარი მიწა წაართვა. მაპუჩიელთა დელეგაცია სალასს შეხვდა და, იცოდნენ რა ფეხბურთელის ანტიპათიური განწყობა პინოჩეტის მიმართ, სთხოვეს მას სათავეში ჩაუდგეს ტომს საკუთარი უფლებების დასაცავად.

## ბერგკამპი და ვიეირა: აღარ გვინდა გირვანქა სტერლინგი, ევროთი გადაგვიხადეთო

ევროპული ფეხბურთის ორმა ვარსკვლავმა დენის ბერგკამპმა და პატრიკ ვიეირამ თხოვნით მიმართეს ლონდონის „არსენალის" კლუბის მეპატრონეებს გასამრჯელო გირვანქა სტერლინგის ნაცვლად ევროთი გადაგვიხადეთო, სავარაუდოა, რომ ანალოგიურ თხოვნას გაუგზავნიან კლუბებს სხვა ლეგიონერებიც.

**კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

## ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი მეორე წრის მატჩებს მასპინძლობს



X ტურში ჩატარებული შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: აზოტი – კოლხა 122:96, შევარდენი – დინამო 72:103, ვითა – ასკ 94:79, მაკაბი – თსუ 73:95, სტუ – სდასუ 57:63.

ტურის ბოლო ორი შეხვედრა ძალზე დაძაბულად წარიმართა, მათგან ერთი სენსაციური შედეგით დამთავრდა. ჯერ იყო „მაკაბი" თითქმის ტაიმნახევარს უგებდა თსუ-ს, მაგრამ მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო, გარჯა ქარს გაატანა. მერე კი მაყურებელმა კარგი სანახაობა ნახა – სტუდენტური დაპირისპირება პირველ ტაიმში ქულა-ქულაზე მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცქიტიშვილით გაძლიერებული სტუ, რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფება, ბევრს ეცადა, არაფერი გამოუვიდა. თამამად შეიძლება ითქვას, სდასუ-მ პირველ რიგში, თავისი უკანახაზელების უნაკლო, თავგამოდებული თამაშის წყალობით მოიგო – თორთლაძეც, უძილაურიც მშვენიჭრად მოქმედებდნენ დაცვაშიც, თავდასხმაშიც. ამ მოგების შემდეგ სდასუ-მ მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და თუ ასეთივე თავდადებით გააგრძელა, მედლების მოპოვების კანდიდატად მოგვევლინება.

**დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:**

| | თ | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 10 | 10 | 0 | 820:690 | 20 |
| სტუ | 10 | 8 | 2 | 739:679 | 18 |
| თსუ | 10 | 7 | 3 | 816:758 | 17 |
| ვითა | 10 | 6 | 4 | 464:436 | 15 |
| დინამო | 10 | 5 | 5 | 784:773 | 15 |
| სდასუ | 10 | 5 | 5 | 709:748 | 15 |
| შევარდენი | 10 | 4 | 6 | 680:709 | 14 |
| კოლხა | 10 | 3 | 7 | 637:774 | 13 |
| მაკაბი | 10 | 2 | 8 | 735:802 | 12 |
| ასკ | 10 | 0 | 10 | 79:94 | *10 |

***შენიშვნა: „ვითას" დაკლებული აქვს ერთი ქულა.***

**მეორე წრის დარჩენილი ტურების განრიგი ასეთია:**

**XI ტური, 30 იანვარი**
ასკ – დინამო; დასაწყისი – 14.00 სთ.
ვითა – შევარდენი 16.00
კოლხა – სტუ 18.00
**31 იანვარი**
სდასუ – თსუ 14.00
აზოტი – მაკაბი 16.00

**XII ტური, 1 თებერვალი**
კოლხა – დინამო 14.00
შევარდენი – მაკაბი 16.00
**2 თებერვალი**
სტუ – თსუ 14.00
ვითა – სდასუ 16.00
ასკ – აზოტი 18.00

**XIII ტური, 5 თებერვალი**
შევარდენი – ასკ 14.00
აზოტი – სდასუ 16.00
მაკაბი – სტუ 18.00
**6 თებერვალი**
თსუ – კოლხა 14.00
დინამო – ვითა 16.00

**XIV ტური, 9 თებერვალი**
შევარდენი – კოლხა 14.00
მაკაბი – ვითა 16.00
ასკ – სტუ 18.00
**10 თებერვალი**
აზოტი – თსუ 14.00
დინამო – სდასუ 16.00

**XV ტური, 13 თებერვალი**
ვითა – თსუ 14.00
სდასუ – ასკ 16.00
სტუ – შევარდენი 18.00
**14 თებერვალი**
კოლხა – მაკაბი 14.00
აზოტი – დინამო 16.00

**XVI ტური, 3 მარტი**
ასკ – მაკაბი 14.00
სდასუ – კოლხა 16.00
აზოტი – ვითა 18.00
**4 მარტი**
თსუ – შევარდენი 14.00
დინამო – სტუ 16.00

**XVII ტური, 7 მარტი**
დინამო – თსუ 14.00
სდასუ – მაკაბი 16.00
კოლხა – ასკ 18.00
**8 მარტი**
შევარდენი – აზოტი 14.00
სტუ – ვითა 16.00

**XVIII ტური, 11 მარტი**
ასკ-თსუ 14.00
სდასუ – შევარდენი 16.00
დინამო – მაკაბი 18.00
**12 მარტი**
ვითა – კოლხა 14.00
აზოტი – სტუ 16.00

## უეფა უტევს ბლატერს

ფიფას პრეზიდენტის იდეას მსოფლიო ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების შესახებ უკვე მოჰყვა რეაქცია მაღალჩინოსანი მოხელეებისგან. გუდას პირველმა უეფას გენეკმა მოხსნა პირი — გერჰარდა აიგნერის თქმით, ბლატერის იდეა მცდარია, რითაც ის უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ფიფას აღმასკომის წევრებს.

უეფას განზრახული აქვს ბლატერის უმთავრესი დასაყრდენი — აფრიკის საფეხბურთო კონფედერაცია დაარწმუნოს ამ იდეის არამართებულობაში. უეფას წარმომადგენლები უახლოეს მომავალში შეხვდებიან აფრიკელ კოლეგებს და შესაძლოა ალიანსმა ოფიციალური სახე მიიღოს. „ბლატერის იდეას ფეხბურთისათვის პოზიტიური ელემენტები არ გააჩნია" — მტკიცედ სჯერა გერჰარდ აიგნერს.

## კასპაროვიც დამარცხდა...

გარი კასპაროვი ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის მეშვიდე ტურში შეხვდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ალექსეი შიროვს, რომელთან მატჩის გამართვა ვერა და ვერ ხერხდება. კასპაროვმა გაიმარჯვა, რის შემდეგ მისი პირადი ანგარიში ყოფილ რიგელთან, ახლა კი ესპანეთის წარმომადგენელთან, აქამდეც გამანადგურებელი, ახლა კი უფრო შთამბეჭდავი გახდა. 14 პარტიაში ჩემპიონს 8 მოგება აქვს, დანარჩენი 6 პარტია კი ყაიმით დასრულდა. რა შედეგი უნდა მოიტანოს ამის შემდეგ მათმა მატჩმა, თუკი მაინც გაიმართება.

მერვე ტურში კასპაროვს შავებით დიდი წინააღმდეგობა გაუწია ახალგაზრდა უზბეკმა დიდოსტატმა რუსტემ კაზიმჯანოვმა. იგი დიდხანს შეუპოვრად იცავდა თავს, მაგრამ ბოლოს კასპაროვმა მცირე ძალებით მაინც წამოიწყო იერიში და გაიმარჯვა. ეს მისი (პირველ ტურში ყაიმის შემდეგ) ზედიზედ მეშვიდე მოგება იყო. 7,5 ქულა რვიდან საერთოდ გაუგონარი შედეგია სუპერტურნირისათვის.

მაგრამ კასპაროვის მსოფლიო რეკორდი საბოლოოდ მაინც არ შედგა. მეცხრე ტურში ივან სოკოლოვთან (ბოსნია) იგი მეტად რისკიანად თამაშობდა, ზღვარს გადააცილა და დამარცხდა. ამავე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს მეორე და მესამე მოჭადრაკეები — ვიშვანათან ანანდი და ვლადიმირ კრამნიკი. შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

9 ტურის შემდეგ კასპაროვს 7,5 ქულა აქვს, ანანდს — 6,5, კრამნიკს კი 5,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლიფილდი – ლუისი: მითქმა-მოთქმა მატჩის წინ


ევანდერ ჰოლიფილდი


ლენოქს ლუისი

3 მარტისათვის დანიშნული მსოფლიო აბსოლუტური პირველობის მატჩი ორ ჩემპიონს – ევანდერ ჰოლიფილდსა (აშშ) და ლენოქს ლუისს (ინგლისი) შორის ახლა კრივის მოყვარულების უდიდეს ინტერესს იწვევს. მასზე განსაკუთრებით ბევრს ამერიკული პრესა წერს.

„ვაშინგტონ პოსტი" თავს დაესხა ლენოქს ლუისს: „მსოფლიო ჩემპიონი WBC-ის ვერსიით, ლენოქს ლუისი დიდი პატივისცემით არ სარგებლობს. მან ეს სახელი ერთხელ რიდიკ ბაუის ჩამოართვა, რომელსაც ისე ეზიზღებოდა WBC-ის ჩემპიონის ქამარი, რომ იგი ურნაში ჩაუშვა და ლუისს შესთავაზა იგი იქიდან ამოეღო".

კომენტატორები ამ ბრალდებას უსამართლოდ მიიჩნევენ. იმ სამ ორგანიზაციას – WBA, WBC და IBF-ს შორის, რომელიც მთელ თანამედროვე პროფესიულ კრივს წარმართავს, სწორედ WBC-ს აქვს ამერიკაში ყველაზე მტკიცე პოზიცია. ბაუიმ WBC-ს ჩემპიონის ქამარი ურნაში ისროლა ჟურნალისტების თვალწინ, სწორედ იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია მოითხოვდა მის ბრძოლას ლუისთან. ლუისი მაშინ სამივე ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის №1 პრეტენდენტად ითვლებოდა და ჩემპიონთან შეხვედრის ავტომატური უფლება ჰქონდა. ამასთან, ბაუის ცეცხლივით ეშინოდა ლენოქს ლუისისა, რომელმაც იგი სეულის ოლიმპიადაზე ნოკაუტში ჩააგდო. WBC-მ, კანონს რომ იცავდა, ბაუის ჩემპიონობა ჩამოართვა კიდეც, WBA-მ და IBF-მ, რომლებიც უფრო ლოიალურნი არიან ამერიკელების მიმართ, ეს არ გააკეთეს.

„ვაშინგტონ პოსტი" მართლაც მტრულად არის განწყობილი ლენოქს ლუისისადმი, მას „საეჭვო პრეტენდენტს" უწოდებს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სასტიკად დამარცხდა ოლივერ მაკკოლთან. აი, რაც შეეხება მატჩ-რევანშში იმავე მაკკოლის დამარცხებას და პირველ რაუნდშივე ანჯეი გოლოტასთან ნოკაუტით მოგებას, ეს თითქოს არაფერი ყოფილა.

ამერიკული გაზეთები კრივში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას თავიანთი ქვეყნის კუთვნილებად თვლიან და არავითარ შემთხვევაში არ უნდათ, რომ იგი ინგლისელმა მოიპოვოს. მართალია, არც ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიო ჩემპიონად ინგლისელი ფრენკ ბრუნო WBC-ს ვერსიით ითვლებოდა, მსოფლიო ჩემპიონად IBF-ს ვერსიით კი ერთხანს ფრანსუა ბოტა (სამხრეთ აფრიკა), მაგრამ ერთიც და მეორეც ამერიკელ სპეციალისტებს სერიოზულ ფიგურებად არ მიაჩნდათ. სულ სხვაა ლენოქს ლუისი. იგი, ექსპერტების აზრით, შეიძლება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდეს და თანაც ეს წოდება დიდხანს შეინარჩუნოს.

ამასთან, ამერიკული პრესა ევანდერ ჰოლიფილდს ყველაზე მამაც მსოფლიო ჩემპიონს უწოდებს მუჰამედ ალის შემდეგ და მას გამარჯვებას უსურვებს.

ევანდერ ჰოლიფილდი ამ მატჩისათვის 20 მილიონ დოლარს მიიღებს, ლენოქს ლუისი კი – 10. ასეა თუ ისე, ორხელისუფლებიანობა კრივში უნდა დამთავრდეს.

## ტაისონი აპრილში იჩხუბებს

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით მძიმეწონოსანი მსოფლიოს ჩემპიონი მაიკ ტაისონი, რომელიც ამას წინათ სამხრეთაფრიკელ ბოტას გაუსწორდა, შემდეგ ბრძოლას გამართავს 24 აპრილს, ლას-ვეგასში. მისი მომავალი მეტოქეებია გერმანელი აქსელ შულცი, ამერიკელები ლუ სავარეზე, შენონ ბრიგსი, ვონ ბინი და მაიკლ მურერი.

ავსტრალიის ღია პირველობა

# ახალგაზრდამ დაამარცხა დევენპორტი

მელბურნში დასასრულს მიუახლოვდა ავსტრალიის ღია პირველობა.

ვაჟთა ასპარეზობა თავიდან ბოლომდე დიდი მოულოდნელობით ხასიათდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი 10 განთესილიდან შეჯიბრებას საკმაოდ ადრეულ სტადიაზე გამოეთიშა პირველი ცხრა და დარჩა მხოლოდ მეათე ნომერი – 24 წლის ევგენი კაფელნიკოვი. მეოთხედფინალში მან სძლია ტოდ მარტინს (აშშ), რომელიც ადრეც რამდენიმეჯერ დაუმარცხებია. ახლა რუსი ჩოგბურთელი ნახევარფინალში გერმანელ ტომი ჰაასს უნდა შეხვდეს. დიდი მოულოდნელობა იყო კიდევ ერთ ნახევარფინალში ახალგაზრდა ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის მიერ ცნობილ სლოვაკ ოსტატ კარელ კუჩერას დამარცხება. ახლა ლაპენტი ნახევარფინალში შვედ თომას ენდკვისტს ეთამაშება.

ქალთა მეოთხედფინალების შეხვედრებიდან უნდა აღინიშნოს უნგრულ-იუგოსლავიური წარმოშობის ამერიკელ მონიკა სელეშის გამარჯვება განთქმულ გერმანელ შტეფი გრაფთან. საინტერესოა, რომ აქამდე სელეშმა ოთხჯერ გაიმარჯვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატებში, სადაც მოიგო უკვე 33 მატჩი.

ქალთა ნახევარფინალებში ერთმანეთთან მოუხდათ შეხვედრა მარტინა ჰინგისსა (შვეიცარია) და მონიკა სელეშს, აგრეთვე ლინდსეი დევენპორტსა (აშშ) და ახალგაზრდა ფრანგ ამელია მორესმოს.

გუშინ ჰინგისმა ბოლოს და ბოლოს შეწყვიტა სელეშის ხანგრძლივი ძლევამოსილი სერია, დაამარცხა იგი და ფინალში გავიდა. დიდი სენსაცია მოიტანა მეორე ნახევარფინალმა, სადაც ფრანგმა მორესმომ, რომელსაც აქამდე რაიმე შესამჩნევი წარმატება არა ჰქონია, ახლა კი პირდაპირ ბრწყინავს, სძლია მსოფლიოს პირველ ჩოგანსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლინდსეი დევენპორტს.


ამელი მორესმო

## რა ხდება ქვეყანაზე

# იქნება, არ იქნება!

სკეპტიციზმი, აურზაურიც კი, დათქმულ ქალაქში ოლიმპიადის ჩატარებამდე რამდენიმე წლით ადრე არახალია. და დროდადრო ისტორია მეორდება, რაც გაკვირვებას იწვევს, მაგრამ ზოგჯერ მართლდება კიდეც. ალბათ, გახსოვთ, ჯერ კიდევ 1970-ში სოკ-ის სესიაზე პრეზიდენტმა რომ განაცხადა: სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის გამო 1972 წლის ოლიმპიური თამაშები საფრთხეშია. მაშინ ოლიმპიური ოჯახიდან უნდა გაერიყათ სამხრეთაფრიკელთა ეოკ-ი თავიანთი რიგებიდან. 1976 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობა კი ამერიკის ქალაქმა დენვერმა გამოსტაცა შვეიცარიის სიონს, მაგრამ დენვერელი მოსახლეობის პროტესტის გამო ამ ქალაქმა უარი თქვა თამაშების მიღებაზე და თეთრი ოლიმპიადა დაუბრუნდა ინსბრუკს, რომელიც ერთხელ, 12 წლის წინათ უკვე მასპინძლობდა მას.

ახლაც გამოთქვამენ პროგნოზს, და იგი კვლავ თეთრ ოლიმპიადას ეხება, რომ სოლტ-ლეიკ-სიტიში თამაშები არ ჩატარდება, რაც სულაც არ გახლავთ დაკავშირებული ხმებთან სოკ-ის წევრთა მიერ ქრთამის აღების შესახებ, რათა ამერიკის ეს ქალაქი ოლიმპიადის მასპინძელი გამხდარიყო. საქმე სულაც იმაშია, რომ ამ ქალაქს ფინანსური პრობლემები შეექმნა (სადღეისოდ თამაშების ორგანიზატორებს, სულ რაღაც, 350 მილიონი დოლარი დააკლდათ შემოსავლიანი ბიუჯეტის შესასრულებლად, რაც მილიარდ 450 მილიონს უნდა შეადგენდეს). და არც იმაში, რომ სოკ-ის რამდენიმე წევრს საბოლოოდ ამხელენ მექრთამეობაში და გარიცხავენ ამ ორგანიზაციიდან. იმასაც ამბობენ, კატეგორიულად ასეთი, სულ ცოტა 12 კაცი მაინც იქნებაო და მათგან მხოლოდ ორ-სამს თუ დასჯიან (მათ შორის აფრიკის ეოკ-ის პრეზიდენტ ჟან-კლოდ განგს, რომელსაც ბრალად ედება 50 ათასის აღება, აგრეთვე მისი დედის უფასოდ მკურნალობა სოლტ-ლეიკის კლინიკასა და ამ ქალაქში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაში, რამაც მას 60 ათასი დოლარი მოუტანა). უფრო ის აღელვებთ – ეს ქალაქი თავად იტყვის უარს თამაშებზე იქ აზღვავებული სკანდალის გამო. აი, რა განუცხადა ქალაქის ერთ-ერთმა მამამ დეედ სიდმა „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტს: საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს დაუმტკიცდათ ამ ქალაქში სოკ-ის წევრებს სტუმრობისას კორუფცია და სექსუალური მომსახურება, ეს იქნება საოცარი შეურაცხყოფა რეგიონის მოსახლეობისათვის, რომელიც ტრადიციულად პატივს მიაგებს კონსერვატულ-რელიგიურ ფასეულობებს. ამიტომ არ მოისურვებენ რაიმე საერთო რომ ჰქონდეთ ოლიმპიურ თამაშებთან, – ამტკიცებს საქალაქო საბჭოს წევრი დეედ სიდი.

ამასთან დაკავშირებით, იბადება კითხვა: რა მოხდება თუ ჩაიშლება სოლტ-ლეიკ-სიტიში 2002 წლის თამაშების ჩატარება? ამ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ ოლიმპიადას გადაიტანენ კანადის ქალაქ კალგარში, ან ნორვეგიის ზამთრის სპორტის ცენტრ ლილეჰამერში, სადაც არის თეთრი ოლიმპიადისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, სპორტნაგებობა და ხალხი, რომელსაც აქვს მსგავსი ღონისძიების ჩატარების მდიდარი გამოცდილება.

ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ამ სკანდალურ ამბავში კითხვები სჭარბობს პასუხებს. პასუხგაუცემელია მთავარი კითხვაც: ვინ და რა მიზნით წამოიწყო „საქმე ქრთამის შესახებ"? ბევრი იმ აზრისაა, რომ ყველაფერი ატეხილია სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის დასაუფლებლად, რომელიც 2001 წელს უნდა განთავისუფლდეს!..




22


5-16


27-32

**თარაზულად:** 1. სპორტის სახეობა, 13. „მილანის" პრეზიდენტი და მეპატრონე, 14-16. მოთვლით 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა, 17. გერმანიის ბუნდესლიგის ქართველი ლეგიონერი, 19-21. მოქმედების აღმძვრელი მიზეზი, 22. ესტონელი მოჭიდავე, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი **(ფოტო)**, 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 31. ბოლო ადგილზე მყოფი სპორტსმენი, გუნდი.

**შვეულად:** 5-16. „იუვენტუსის" ფეხბურთელი **(ფოტო)**, 6-17. ესტონელი მოჭადრაკე, 7. პეტროსიანი, 8. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი. 11. რუსი დიდოსტატი, 1948-49 წლების სსრკ ჩემპიონი, 12. რუსი მოციგურავე ქალი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მრავალჭიდში, 21. თბილისის „დინამოს" ყოფილი წყალბურთელი, 22. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი.

**დიაგონალურად:** 1-9. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი, 10-2. პოლონელი მძლეოსანი, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 3-16. „მილანის" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 17-4. სპორტული ნაგებობა, 7-1. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა, 2-12. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, 7-15. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 18-12. ნაყოფიერების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში, 25-20. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 23-28. მაროკოელი მძლეოსანი, 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 5000 მეტრზე რბენაში, 29-21. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 22-30. რუსეთის ჰოკეის კლუბი, 31-26. ზაფხულის I ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 27-32. ჩილელი ჩოგბურთელი **(ფოტო)**, 25-31. მეზღვაურის თანაშემწე, 32-28. კურორტი ყირიმში.

შეადგინა
ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კოლეგას საქართველოს რადიოდან თამილა კახიძეს სიძის – დის მეუღლის გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(ხოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლ:g6!
1. ...მფ:e3 2. ლe4X.
1. ...მფc5 2. ლb6X.
1. ...მფ:c3 2. ლ:g7X.
1. ...d2 2. ლb6X.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. იაშვილი, 7. გერეტსი, 8. კანდელაკი, 11. ოლისე, 14. ბლანი, 15. დაინეკო, 16. ტაისონი, 17. ანდერსი, 20 ივანოვი, 22. ვიერი, 23, კლოსი, 26. „პენიაროლი", 27. კინალია, 28. მალანია. **შვეულად:** 1. მარსელი; 2. „ალთაი", 3. „გენკი", 4. „ოსასუნა". 6. ბრემენი, 9. ესნაიდერი, 10. ალბერვილი, 12. ბარნოვი, 13. ოკუნოვო, 18. „ინდიანა", 19. პიპენი, 21. „ქსანტი", 24. „მეცი", 25. „ალგა".

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე